ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032317953-03
თარიღი: 28.06.2023 13:28
ვადა: 31.07.2023

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01231791274 განცხადების თარიღი: 28.06.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

39-18 ცვლილება

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032317953-03
28.06.2023 : 13:28
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01231791274**
თარიღი: **28/06/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, რომელიც მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 ივნისის N 23.939.1048 განკარგულებით.

გთხოვთ, საკითხი განიხილოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

დანართი:5 (ხუთი) ფურცელი.

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 ივნისის N 23.939.1048 განკარგულება;

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი;

4. თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა (დანართი №1.11).

კახა კალაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

განკარგულება - N 23.939.1048
27 / ივნისი / 2023 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 75-ე მუხლის „ბ.ა" და „ე.ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2023 წლის —

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების:

პირველი მუხლის ა.ლ ქვეპუნქტით დამტკიცებული თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა (დანართი №1.11) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილება ეხება ,, შემდეგი რიგის საპარკე არეალი-დიღმის ჭალები"-ს არეალს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 13 ივნისის №61-01231642034 (№61-01231722633-21/06/2023) წერილი, რომლის მიხედვითაც სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა 23.05.2023 წლის QN1967946 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქ. N191-ში (საკადასტრო კოდი: 01.13.02.001.084) არსებული მიწის ნაკვეთის ფართობის უცვლელად საზღვრების კორექტირება.

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქ. N191-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.13.02.001.084) მოთხოვნილ კორექტირებულ ტერიტორიაზე, ნაკვეთის ჩრდილოეთით მდებარე ფაქტობრივად არსებული შენობა-ნაგებობის კონტურზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ვრცელდება შემდეგი რიგის საპარკე არეალის- ,,დიღმის ჭალები"-ს ფენა.

2023 წლის 13 ივნისის №61-01231642034 წერილით, ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქ. N191-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.13.02.001.084) საზღვრების კორექტირება, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ მოთხოვნილ იქნა ტერიტორიაზე გავრცელებული საპარკე არეალის დაკორექტირება/მოხსნა, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.02.001.084) საზღვრების კორექტირება ჩრდილოეთით მდებარე ფაქტობრივად არსებულ შენობა-ნაგებობის კონტურზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 12 ივნისის N18-01231631767 წერილის შესაბამისად, თანახმაა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქ. №191-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (65 კვ.მ.) სარეკრეაციო-საპარკო არეალის მოხსნა, შემდგომში ნაკვეთის ჩრდილოეთით მდებარე ფაქტობრივად არსებული შენობა-ნაგებობის კონტურზე საზღვრების კორექტირების მიზნით. ამასთანავე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სარეკრეაციო-საპარკო არეალის ფენა გავრცელდეს კორექტირების შედეგად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღებულ მიწის ნაკვეთზე (65 კვ.მ.).

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, წარმოდგენილი წერილების საფუძველზე, მიზანშეწონილია განხორციელდეს ,,შემდეგი რიგის საპარკე არეალი-დიღმის ჭალები“-ს არეალის საზღვრების კორექტირება.

ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო- ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.



დამკვეთი:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ. არქიტექტურის სამსახური

შემსრულებელი:
ააიპ. სითი ინსტიტუტი საქართველო

პროექტი:
თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა
დირექტორები:
არჩილ ბარბაქაძე
მამუკა სალუქვაძე

პროექტის ხელმძღვანელი:
მერაბ ბოლქვაძე
იოსებ სალუქვაძე
ალფრედ პეტერი
პარტნიორები:

Alfred Peter Peisagiste, AS&P - albert Speer &Partner Gmbh, Dr. brenner ingeniurgeselischaft mbh, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
CENN - Caucasus Environmental NGO network Fraunhofer IAO,
Tbilisi Groupe, Steinbeis

საინფორმაციო პორტალი:
www.City.Kvira.ge

თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა (დანართი 1.11)

პირობითი აღნიშვნები

ძირითადი აღნიშვნები

- სარეკრეაციო საკარაო არეალი (პარკი)
- განაშენიანების რეგულირების გეგმების არეალი
- შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალი
- საკვლევი არეალი
- პოლიცენტრული არეალის საზღვარი

2017 წ. რუკა დამზადებულია 2016 წლის კვლევით მონაცემებზე დაყრდნობით